აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 4

13 ივლისი 2006 წელი ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თამაზ შარმანაშვილი, ქეთევან ჯიქია, გუგული დუაძე, თამარ ხოზრევანიძე, ასლან ჩავლეიშვილი

სხდომას არ ესწრებოდა: კომისიის წევრი გია გარსევანიშვილი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: აპარატის უფროსი მუხრან კაკაბაძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ნესტან ნაკაშიძე, საერთო სამსახურის უფროსი ნერვისტან ფაღავა, ეკონომიკური სამსახურის უფროსი ლევან სამნიძე;

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, უსურვა ნაყოფიერი მუშაობა და წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის მოხელეთა შესარჩევი კონკურსის წესისა და საკონკურსო კომისიის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

(მომხს. ა.მიქელაძე)

2. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საქმეთა ნომენკლატურის დამტკიცების თაობაზე

(მომხს. გ. დუაძე, ნ.ფაღავა)

3. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის მოხელეთა შესარჩევი საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ

(მომხს. ა. მიქელაძე)

4. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრის მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ

(მომხს. ქ. ჯიქია)

5. ინფორმაცია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2007 წლის ხარჯთაღრიცხვის შესახებ

(მომხს. ა. მიქელაძე, ლ. სამნიძე)

1. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის მოხელეთა შესარჩევი კონკურსის წესისა და საკონკურსო კომისიის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი. მან აღნიშნა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 30 მარტის №02/2006 დადგენილებით დამტკიცებული ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის

მოხელეთა შესარჩევი კონკურსის წესისა და საკონკურსო კომისიის დებულებაში" შესატანი ცვლილებები ძირითადად რედაქტიული ხასიათისაა, პროექტში წარმოდგენილი მოთხოვნები არის სტანდარტული, რომელიც მოეთხოვება ყველა საჯარო მოხელეს და რომელიც გაწერილი და მოწესრიგებულია საქართველოს კანონებით. პროექტს დაემატა ზოგიერთი მუხლი. კომისიის თავმჯდომარემ მუხლობრივად განიხილა ყველა ის ცვლილება და დამატება, რაც წარმოდგენილი იყო პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის მოხელეთა შესარჩევი კონკურსის წესისა და საკონკურსო კომისიის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი

მიღებულია დადგენილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 30 მარტის № 02/2006 დადგენილებით დამტკიცებული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის მოხელეთა შესარჩევი კონკურსის წესისა და საკონკურსო კომისიის დებულებაში" შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები:
ა) მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
1. „საკონკურსო კომისიის საქმიანობის მიზანია უსკოს აპარატში დასაკავებელი ვაკანტური თანამდებობისთვის წაყენებულ მოთხოვნებთან კონკურსანტის შესაბამისობის შეფასება და შესაბამისი პირის კონკურსის წესით შერჩევა."
ბ) მე-7 მუხლის 3-ე პუნქტის „ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
ა) „კონკურსანტის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პროფესიული თვისებების შეფასება."

გ) მე-11 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
1. „უსკოს თავმჯდომარე კომისიის დასკვნის საფუძველზე იღებს გადაწ-ყვეტილებას კომისიის მიერ შერჩეული პირის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის ან დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ.”

დ) მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. „საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეული კონკურსანტი თანამდებობაზე დაინიშნება, თუ იგი საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან 14 დღის განმავლობაში უსკოს თავმჯდომარის სახელზე წარადგენს:
ა) წერილობით თანხმობას თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ:
ბ) შრომის წიგნაკს (თუ აქვს);
გ) სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობას;
დ) სამედიცინო დასკვნას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.
ე) ქონებრივი დეკლარაციის ამსახველ ცნობას.”

ვ) მე-9 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^1 პუნქტი:
4^1. „ცალკეულ შემთხვევაში კონკურსანტის სპეციალური ცოდნის შემოწმების მიზნით უსკოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით შეიძლება მოწვეულ იქნეს შესაბამისი სპეციალისტი (სპეციალისტები).”

ზ) მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
6. „საკონკურსო კომისიის პირველი სხდომა ტარდება უსკოს აპარატის მოხელეთა კონკურსისთვის საჭირო საბუთების წარდგენის ვადის ამოწურვიდან არა უგვიანეს 21 დღისა.”

თ) დებულებას დაემატოს შემდეგი შინარსის 12^1, 12^2, 12^3, 12^4, 12^5 მუხლები:
მუხლი 12^1. მოხელეთა რეზერვი
მოხელეთა რეზერვის მიზანს წარმოადგენს:

1. უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის მოხელეთა კანდიდატების შერჩევა;
2. სამსახურიდან განთავისუფლებული პირებისათვის სამსახურის ახალი ადგილის გამოძებნა.

მუხლი 12^2. რეზერვში ჩარიცხულ მოხელეთა აღრიცხვა
1. რეზერვში ჩარიცხულ მოხელეთა აღრიცხვას აწარმოებს უმაღლესი საარჩევნო კომისიის საკონკურსო კომისია.
2. რეზერვში ინახება ჩარიცხულ მოხელეთა სია და მათი ნამსახურეობის ნუსხები.

მუხლი 12^3. რეზერვში ჩარიცხვას დაქვემდებარებული პირები
რეზერვში ირიცხება:

ა) მოხელე, რომელიც სამსახურიდან გაანთავისუფლეს შტატების შემცირების, ხანგრძლივი შრომისუუნარობის ან ჯამრთელობის მდგომარეობის თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო;
ბ) კონკურსანტი, რომელიც საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეული და წარდგენილი იქნა ვაკანტური თანამდებობის დასკავებლად უსკოს თავმჯდომარის წინაშე დასანიშნად, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო არ დაინიშნა.

მუხლი 12^4. რეზერვში ჩარიცხვის გაფორმება
1. მოხელის სამსახურიდან განთავისუფლების შემთხვევაში მისი სასამსახურო ნუსხა და სხვა დოკუმენტების ასლები დაუყონებლივ ეგზავნება საკონკურსო კომისიას.
2. თუ სამსახურიდან განთავისუფლებულ მოხელეს სურს რეზერვში ჩარიცხვა, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებს უნდა დაერთოს მოხელის განცხადება რეზერვში ჩარიცხვის შესახებ და შრომის წიგნაკი.

მუხლი 12^5. თანამდებობაზე დანიშვნა რეზერვიდან
1. უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც საჭიროებს მოხელეს, საკონკურსო კომისიას აცნობებს ვაკანტური თანამდებობის არსებობის შესახებ თანამდებობის დასახელების და მის დასაკავებლად წაყენებული მოთხოვნების მინიშნებით.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შუამდგომლობის მიღებიდან სამი დღის განმავლობაში საკონკურსო კომისია უსკოს თავმჯდომარეს უგზავნის რეზერვიდან ამონაწერს იმ პირთა შესახებ, რომლებიც აკმაყოფილებენ შესაბამის მოთხოვნებს, აგრეთვე მათი ნამსახურეობის ნუსხებს.
3. უსკოს თავმჯდომარე თანამდებობაზე ნიშნავს შესაბამის კანდიდატს ამ დებულების მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.”

2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ., №5) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.
3. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

2. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საქმეთა ნომენკლატურის დამტკიცების თაობაზე

სიტყვით გამოვიდა საარჩევნო კომისიის წევრი ქალბატონი გუგული დუაძე. მან აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქმისწარმოების ერთიანი წესების” 48-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საარჩევნო კომისიის მიერ

	შექმნილმა საექსპერტო კომისიამ თავის სხდომაზე განიხილა და მოიწონა საქმეთა ნომენკლატურის პროექტი, შესათანხმებლად გადასცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამმართველოს საექსპერტო შემმოწმებელ კომისიას და ყველა პროცედურის გავლის შემდეგ დასამტკიცებლად წარმოადგინა მიმდინარე სხდომაზე
აზრი გამოთქვეს:	კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საქმეთა ნომენკლატურის დამტკიცების თაობაზე" განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ
კენჭისყრის შედეგი:	მომხრე 6; წინააღმდეგი 0; კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქმისწარმოების ერთიანი წესების" 48-ე მუხლის მე-3 პუნქტის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „შ" ქვეპუნქტის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ***ა დ გ ე ნ ს***:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საქმეთა ნომენკლატურა დანართის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. № 5) მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის განმავლობაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

3. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის მოხელეთა შესარჩევი საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კომისიას წარუდგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის მოხელეთა შესარჩევი საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ განკარგულების პროექტი და განმარტა, რომ უსკოს მიერ 2006 წლის 30 მარტს №02/2006 დადგენილებით დამტკიცებული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის მოხელეთა შესარჩევი კონკურსის წესისა და საკონკურსო კომისიის დებულების" თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის მოხელეთა შესარჩევი საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შედიან უსკოს თავმჯდომარე და წევრები

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის მოხელეთა შესარჩევი საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ" განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი

მიღებულია განკარგულება:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის მოხელეთა შესარჩევი კონკურსის წესისა და საკონკურსო კომისიის დებულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ***ა დ გ ე ნ ს:***

1. შეიქმნას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის მოხელეთა შესარჩევი საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ა. მიქელაძე- კომისიის თავმჯდომარე
ბ) ქ. ჯიქია- მოადგილე
გ) თ. შარმანაშვილი

დ) გ. დუაძე
ე) თ. ხოზრევანიძე
ვ) ა. ჩავლეიშვილი

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ., №5) მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

4. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრის მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ

მოისმინეს: კომისიის წევრმა, ქალბატონმა ქეთევან ჯიქიამ კომისიას გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრის მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტი და წარუდგინა კომისიის წევრის მოწმობის ფორმის ნიმუში

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ
სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრის მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „შ" ქვეპუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საარჩევნო კომისია ***ა დ გ ე ნ ს:***

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრის მოწმობის ფორმა თანდართული ნიმუშის შესაბამისად

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №5) მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში

3. ეს განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე

5. ინფორმაცია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2007 წლის ხარჯთაღრიცხვის შესახებ

მოისმინეს: დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით ეკონომიკური სამსახურის უფროსმა, ლევან სამნიძემ წარადგინა უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2007 წლის ხარჯთაღრიცხვის პროექტი. მან მუხლობრივად მიმოიხილა 2007 წელს გაწერილი ხარჯები. მასში გაწერილია აგრეთვე ოლქების შესაძლო გადაკომპლექტებასთან დაკავშირებული ხარჯებიც.

აზრი გამოთქვეს: სიტყვით გამოვიდა სხდომის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ უმაღლესი საარჩევნო კომისია სათანადოდ და ჯეროვნად უნდა მოემზადოს 2008 წლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის, შესაქმნელია კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახური არანაკლებ სამი საშტატო ერთეულით, საჭიროა კომპიუტერული გადაიარაღება, ოლქების კომპიუტერული უზრუნველყოფა და ა. შ. რაც არ არის ჩადებული უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2007 წლის ხარჯთაღრიცხვის პროექტში. ამიტომაც მიზანშეწონილად მიმაჩნია, უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2007 წლის ხარჯთაღრიცხვის პროექტში გავითვალისწინოთ თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი სამ საშტატო ერთეულზე კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურის შესაქმნელად, აღნიშნა კომისიის თავმჯდომარემ. რაც შეეხება კომპიუტერული გადაიარაღებას, ოლქების კომპიუტერულ უზრუნველყოფას, და ა.შ. ამ საკითხებს კომისია ისევ დაუბრუნდება, დასძინა სხდომის თავმჯდომარემ.

გადაწყვიტეს: დაევალოს ეკონომიკურ სამსახურს, აჭარის ავტონომიური რეპუბლიკის უმაღლეს საბჭოში წარსადგენად და დასამტკიცებლად მოამზადოს აჭარის ავტონომიური

	რეპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2007 წლის ხარჯთაღრიცხვის პროექტი ცვლილებების გათვალისწინებით

სხდომაზე სხვა საკითხები არ განხილულა.

კომისიის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია